

კონკურსი

კონკურსის შესახებ ზოგადი დებულებები

- 2015 წლის 1 ივლისამდე ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის თანამდებობაზე დასანიშნად პირის მიერ გასავლელი კონკურსის სავალდებულო ეტაპია კონკურსის მონაწილის ტესტირება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.¹
- კონკურსის გავლას ექვემდებარება პირი რომელიც მუნიციპალიტეტში დაინიშნა შტატით გათვალისწინებულ მოხელის თანამდებობაზე 2012 წლის 29 ივნისიდან და არ გაუვლია კონკურსი.
- პირი რომელიც მუნიციპალიტეტში დაინიშნა შტატით გათვალისწინებულ მოხელის თანამდებობაზე 2012 წლის 29 ივნისიდან ავტომატურად ითვლება დროებით მოვალეობის შემსრულებლად.

მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა

- ✓ პირი საჯარო მოხელის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ კონკურსის შედეგად².
- ✓ კონკურსი ცხადდება, მხოლოდ, ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად³.
- ✓ თანამდებობა ვაკანტურად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ: ამ თანამდებობაზე დანიშნულია თანამდებობაზე კონკურსის წესით დასანიშნი მოხელის მოვალეობის შემსრულებელი,⁴

¹ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ 134⁴-ე მუხლი

² საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ 29-ე მუხლი

³ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის # 412 დადგენილება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლი

⁴ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის # 412 დადგენილება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლი

კონკურსის მომზადება

- ✓ მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო დაწესებულებაში იქმნება შესაბამისი მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისია, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისია – ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთათვის.⁵
- ✓ ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულო⁶
- ✓ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე აუცილებელი საჭიროების გათვალისწინებით. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შემადგენლობაში მონაწილეობენ მოხელეთა პროფესიული კავშირების წევრები და დამოუკიდებელი სპეციალისტები⁷
- ✓ სამსახურში მიღებასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები დგინდება კანონით ან მის საფუძველზე. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეიძლება შემოიღოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამგებლის/მერის წარდგინებით.
- ✓ საკონკურსო-საატესტაციო კომისია ამზადებს დოკუმენტაციას და კონკურსის გამოცხადების მიზნით უგზავნის საჯარო სამსახურის ბიუროს.⁸
- ✓ ბიურო, ვაკანსიის გამოცხადებამდე, ამოწმებს გამოსაცხადებელი ვაკანტური თანამდებობისათვის დადგენილ საკონკურსო მოთხოვნებს და 3 დღის ვადაში ადგენს მის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობას.⁹

კონკურსში მონაწილეობა

- ✓ კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენა შეიძლება მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით, კანდიდატი ვალდებულია დამსაქმებელს მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია საკონკურსო მოთხოვნებთან დაკავშირებით.¹⁰

⁵ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ 36¹-ე მუხლი

⁶ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ 36²-ე მუხლი

⁷ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ 36³-ე მუხლი

⁸ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-19 მუხლი

⁹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის # 412 დადგენილება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-7 მუხლი

¹⁰ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ 32-ე მუხლი

- ✓ კანდიდატს უფლება აქვს ერთი კონკრეტული უწყების მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადება წარადგინოს ერთდროულად არაუმეტეს ხუთ ვაკანსიაზე.¹¹

კონკურსის გამოცხადება

- ✓ საჯარო კონკურსს მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად შესაბამისი სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება აცხადებს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით. (HR.GOV.GE) დასაშვებია, დაწესებულებამ კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია, დამატებით, განათავსოს შესაბამისი დაწესებულების ვებ-გვერდზე, შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ შესაბამის ვებ-გვერდებზე, სოციალურ ქსელებსა და ბეჭდვით ორგანოებში. ამასთანავე, კანდიდატს განცხადების წარსადგენად ეძლევა არანაკლებ 10-დღიანი ვადა კონკურსის გამოცხადების დღიდან. კონკურსის გამოცხადების დღედ ითვლება ბოლო გამოცხადების მომენტი.^{12,13}
- ✓ კონკურსის შესახებ შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს მაინც: სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების და კონკურსის წესით შესავსები თანამდებობის დასახელებები, კანდიდატის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, შესასრულებელი სამუშაო, თანამდებობრივი სარგოს ოდენობა, განცხადებისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადა, შესაბამისი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მისამართი, კონკურსის ეტაპებს, კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადას, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ფორმას^{14, 15}

¹¹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის # 412 დადგენილება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-9 მუხლი

¹² საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31-ე მუხლი

¹³ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის # 412 დადგენილება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-7 მუხლი

¹⁴ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31-ე მუხლი

¹⁵ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის # 412 დადგენილება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლი

კონკურსის ეტაპები

- ✓ განცხადების გადარჩევა;
 - ✓ წერიტი დავალება;
 - ✓ ტესტირება;
 - ✓ გასაუბრება.¹⁶
-
- ✓ 2015 წლის 1 ივლისამდე ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის კონკურსის სავალდებულო ეტაპია მოხელის ტესტირება;
 - ✓ ტესტირების ეტაპის მინიმალურ გამსვლელ ზღვარს ადგენს შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკონკურსო-საატესტაციო კომისია გამგებელთან/მერთან შეთანხმებით, სწორი პასუხების მინიმუმ 50%, მაქსიმუმ 75% - ის ფაგლებში.¹⁷

კონკურსის შედეგების განსაზღვრა/შედეგების გასაჩივრება

- ✓ საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში კი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ან კომისიის სხვა უფლებამოსილი წევრი, გადაწყვეტილების გამოტანიდან არა უგვიანეს 5 დღისა წერილობით აცნობებს ყოველ კანდიდატს მის მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებას, ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირს კი – კომისიის მიერ კანდიდატის წამოყენების ან კანდიდატის წამოყენებაზე უარის თქმის შესახებ¹⁸
- ✓ პირს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება აქვს, მხოლოდ, წერილობითი ფორმით, კონკურსის შედეგების (მის მიმართ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილება) გამოცხადებიდან (გადაწყვეტილების ჩაბარებიდან - წერილობით გაგზავნის შემთხვევაში და გაგზავნიდან - გადაწყვეტილების ელექტრონული ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში) არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა. საპრეტენზიო

¹⁶ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის # 412 დადგენილება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-12 მუხლი.

¹⁷ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის # 412 დადგენილება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი.

¹⁸ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ 34-ე მუხლი

კომისიის სახელზე შეტანილი განცხადება განიხილება არაუმეტეს 3 სამუშაო დღეში. მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება კომისიას.¹⁹

თანამდებობაზე დანიშვნა

- ✓ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ თანამდებობაზე დასანიშნად წამოყენებული კანდიდატი ინიშნება თანამდებობაზე, თუ იგი კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 2 კვირის განმავლობაში თანამდებობაზე მისი დანიშვნის უფლების მქონე პირს წარუდგენს საჭირო დოკუმენტებს და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებას.

¹⁹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის # 412 დადგენილება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-15 მუხლი.

სარეკომენდაციო ვადები

N	ამოცანა	საქმიანობა	ვადა	უწყება
1.	კონკურსის ჩატარების სამართლებრივი ბაზის მომზადება			
		მთავრობის შესაბამის დადგენილებაში ცვლილებების მომზადება/დამტკიცება	ბოლო ვადა 15 სექტემბერი	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო/ საქართველოს მთავრობა
		ტესტირების ჩატარების მეთოდიკის, თემატიკის, და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცება.	კანონმდებლობით გათვალისწინებული ბოლო ვადა 15 სექტემბერი	საჯარო სამსახურის ბიურო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან შეთანხმებით
1.1		საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცება ან ცვლილებების შეტანა	უმჯობესია დასრულდეს მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში არა უგვიანეს 15 სექტემბრისა	მუნიციპალიტეტი
2.	კონკურსის მომზადება			
		პროვაიდერის განსაზღვრა	5 სექტემბერი	საქართველოს მთავრობა
2.1.		საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნა (სადაც არ არის შექმნილი) ან ახალი შემადგენლობის დამტკიცება	უმჯობესია დასრულდეს მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში არა უგვიანეს 15 სექტემბრისა	
2.2.		ბიუროსთვის, კონკურსის გამოსაცხადებლად საჭირო დოკუმენტაციის მომზადება (საკვალიფიკაციო	საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნიდან 3 დღის ვადაში.	მუნიციპალიტეტი

		მოთხოვნების გარდა)		
2.3.		საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცება	საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნიდან ერთი კვირის ვადაში	მუნიციპალიტეტი
2.4.		საკონკურსო დოკუმენტაციის ბიუროსთვის გადაგზავნა	საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცებიდან ორი დღის ვადაში	მუნიციპალიტეტი
2.5.		ბიუროს მიერ საკონკურსო მოთხოვნების კანონთან შესაბამისობის დადგენა	დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების გადაგზავნიდან 3 დღის ვადაში	საჯარო სამსახურის ბიურო
2.7.		პროვაიდერისგან მომსახურების შესყიდვა	რეკომენდირებულია სექტემბრის ბოლომდე	მუნიციპალიტეტი
3.	კონკურსის გამოცხადება			
3.1.		საკონკურსო წინადადების საიტზე და სხვა საინფორმაციო საშუალებებში განთავსება	ბიუროს მიერ საკონკურსო მოთხოვნების კანონთან შესაბამისობის დადგენიდან 3 დღის ვადაში	მუნიციპალიტეტი
3.2.		საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების დასრულება	ბიუროს მიერ ვაკანსიის გამოცხადებიდან არანაკლებ 10 დღე	მუნიციპალიტეტი
4.	კონკურსის ჩატარება	დოკუმენტაციის გადარჩევა	საკონკურსო დოკუმენტაციის მიღებიდან 3 დღის ვადაში	მუნიციპალიტეტი
4.1.		კონკურსანტთა ტესტირება და გასაჩივრებული შედეგების განხილვის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტებისთვის საბოლოო შედეგების გადაგზავნა	ტესტირების განმახორციელებელი დაწესებულების და მუნიციპალიტეტის შეთანხმებით მაგრამ არა უგვიანეს 31 ოქტომბრისა	პროვაიდერი
4.2.		გასაუბრების ეტაპი	ტესტირების შედეგების	მუნიციპალიტეტი

			მიღებიდან ერთი კვირის ვადაში	
4.3.		კონკურსის შედეგების განსაზღვრა და კონკურსანტებისთვის დაგზავნა	გასაუბრების ეტაპის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში	მუნიციპალიტეტი
4.4.		კონკურსის შედეგების გასაჩივრება/განხილვა	კონკურსის შედეგების განსაზღვრიდან 5 დღის ვადაში	საპრეტენზიო კომისია
5.	მოხელეთა დანიშვნა			
5.1.		დასანიშნად საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა	კონკურსის საბოლოო შედეგების განსაზღვრიდან 2 კვირის ვადაში	კონკურსანტები
5.2.		დანიშვნის ბრძანებების მომზადება/ დანიშვნა	დასანიშნად საჭირო დოკუმენტაციის წარდგენიდან 2 დღის ვადაში მაგრამ არა უგვიანეს 31 ნოემბრისა	მუნიციპალიტეტი